Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რეგიონალური პროექტების შედეგები[1]

რას წარმოადგენს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის?

2014 წელს, ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიზნობრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელებაზე, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში ამ ქვეყნების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით. პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში პროექტები ძირითადად დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებული და განხორციელებულია ევროპის საბჭოს მიერ.
14 რეგიონალურ პროექტთან ერთად, საქართველოში ასევე ხორციელდება **კონკრეტული ქვეყნისთვის გათვალისწინებული რვა პროექტი,** რომლის მთლიანი ბიუჯეტი **3.9 მილიონ ევროს** შეადგენს.

საქართველოში ადამიანის უფლებათა კონვენციის გამოყენების სრულყოფა

პროექტის განხორციელება 2015 წლის 1 ივლისს დაიწყო და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულდება.

- საკანონმდებლო და მარეგულირებელ დონეზე, პროექტმა ხელი შეუწყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კანონმდებლობაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მედიაგაშუქების შესახებ დებულებებთან მიმართებაში. გაუმჯობესდა საქართველოს პროკურატურის შიდა

[1] წარსულში ცნობილი იყო, როგორც ევროპის საბჭოს / ევროკავშირის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის, მოლდოვას რესპუბლიკისთვის, უკრაინასა და ბელარუსისთვის.

მარეგულირებელი ჩარჩო ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ევროპის კავშირის დასკვნების შედეგად, შიდა სახელმძღვანელო პრინციპების ხუთმა კრებულმა განიცადა ცვლილებები და პროკურორთა შიდა პოლიტიკის დოკუმენტები გახდა.

- განხორციელდა ფართომასშტაბიანი ტრენინგის პროგრამა ადამიანის უფლებათა საკითხებზე და შედეგად 2550 იურისტს ჩაუტარდა ტრენინგი, რაც წარმოადგენს ეროვნული დონეზე სრული რაოდენობის, - 5300 იურისტის 40%-ს. 130-ზე მეტ მოსამართლეს, მათ შორის უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს ჩაუტარდა ტრენინგები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) უახლესი პრეცედენტული სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის ძირითადი დებულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეების ხელახალი განხილვის ძირითადი პრინციპების შესახებ; რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროდან შეგროვებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები მიუთითებს პროფესიონალური მიდგომების ცვლილებებზე ტრენინგის თემებით გათვალისწინებულ სფეროებში.
- პროექტმა ხელი შეუწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის შესაძლებლობათა გაძლიერებას სასამართლო ორგანოების, პროკურორებისა და ადვოკატებისთვის დაწყებითი და უწყვეტი ტრენინგის პროგრამების უზრუნველყოფით. პროფესიულ საჭიროებებზე მორგებული ხუთი ახალი სასწავლო გეგმა შემუშავდა და ინტეგრირდა სამი დაწესებულების ყოველწლიური ტრენინგის პროგრამებთან. შეიქმნა დაახლოებით 60 ადგილობრივი ტრენერისგან შემდგარი კონტიგენტი, რომლებმაც მიიღეს ადამიანის უფლებების სხვადასხვა ასპექტებზე ტრენინგების ჩატარების კვალიფიკაცია (მაგ. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, დისკრიმინაციასთან ბრძოლა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა). საქმის ხელახალ განხილვაზე პასუხისმგებელი მოსამართლეთა 95% გაეცნო „საქმის ხელახალ განხილვასთან“ დაკავშირებულ პროცედურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- ქვედა ინსტანციების სასამართლოების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რომელიც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისი გადაწყვეტილების შედგენაში, პროექტმა დახმარება გაუწია საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზის (HUDOC) ქართული ინტერფეისის შექმნას. HUDOC-ის მონაცემთა ბაზებს საფუძვლად დაედო ქართულად ნათარგმნი გადაწყვეტილებები და შემაჯამებელი დასკვნები, რითაც ამგვარად, უზრუნველყოფილ იქნა ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და უკეთესად დასაბუთებული გადაწყვეტილებების შესაძლებლობები.
- მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, რომლებიც შემუშავებული იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების სწავლების პროგრამის ფარგლებში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის (HELP) ქართულ ენაზე ითარგმნა და ადაპტირებული იქნა ეროვნულ სამართლებრივი სისტემაზე. პროექტი წარმოადგენდა ქართული ინტერფეისის შექმნის საფუძველს.
- შემუშავდა უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ჯამში ანალიტიკური განყოფილებების 56 თანამშრომელს ჩაუტარდათ ტრენინგი სამართლებრივი კვლევის საკითხებზე. შეიქმნა და გამოიყენება სასამართლოთა შიდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჯაროების შესახებ;

- 2550-ზე მეტმა იურისტმა (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი) გაიღრმავა ცოდნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა დებულებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში;
- 130-ზე მეტ მოსამართლეს, მათ შორის უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს ჩაუტარდა ტრენინგები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის ძირითადი დებულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეების ხელახალი განხილვის ძირითადი პრინციპების შესახებ;
- სასამართლოებისა და პროკურატურების ანალიტიკური განყოფილებების 35-ზე მეტ წევრს ჩაუტარდა კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ყოვლისმომცველი ტრენინგები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაფუძნებულ სამართლებრივ კვლევასა და ანალიტიკურ მუშაობაში.
- საქმის ხელახალ განხილვაზე პასუხისმგებელი მოსამართლეთა 95% ფლობს ინფორმაციას „საქმის ხელახალ განხილვასთან“ დაკავშირებულ პროცედურებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- 150 მოსამართლესა და მოსამართლის თანაშემწეს ჩაუტარდა სიღრმისეული ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, შედეგად, მათ გააჩნიათ ამ სტანდარტების გამოყენების უნარი ყოველდღიურ საქმიანობაში;
- ახლადდანიშნულმა პროკურორებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია ევროპულ ანტიდისკრიმინაციულ სტანდარტებთან მიმართებაში სამთვიანი ინტენსიური დისტანციური სწავლების კურსის მეშვეობით, HELP პლატფორმის ფარგლებში';
- იურიდიული დახმარების სამსახურის 93-მა ადვოკატმა გაიღრმავა ცოდნა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში;
- გაიზარდა იურიდიული ინსტიტუციების ტრენინგ ცენტრების (იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მთავარი პროკურატურა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია) შესაძლებლობა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ტრენინგები კურიკულუმის შემუშავებისა და ტრენერების კონტიგენტის შექმნის გზით, ქვემოთ მოცემულ სფეროებში: იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის - ადამიანის უფლებები და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის საქმეების განხილვა; პროკურორთათვის - სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის - პერსონალურ მონაცემთა დაცვა;
- სულ 59 იურისტს (8 პროკურორი და 14 ადვოკატი) ჩაუტარდა ტრენერთა ტრენინგები.
- განხორციელდა სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების შესახებ HELP-ის ონლაინ კურსის თარგმნა და მისი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე მორგება;
- გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნის მიზნით, ყველა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთათვის ჩატარდა Bench&Bar შეხვედრები;
- განხილული იქნა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის შესწავლის მიზნით.
- დაიხვეწა მთავარი პროკურატურის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო პროკურატურის ხუთი სახელმძღვანელო ინსტრუქციის შემუშავების შედეგად - (1) სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება; (2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქმეების გამოძიება (3) არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ; (4) რელიგიური

შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და (5) დაზარალებულთა დაცვა.

- წარმოდგენილი იქნა დასკვნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ცვლილებების კანონპროექტის ევროპის საბჭოს შესაბამის სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქმიანობის შედეგად, გაიზარდა საქართველოს პარლამენტის როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობაში ახალი მექანიზმების მიღების გზით. კანონის შესაბამისი ნორმების ძალაში შესვლის შემდეგ, პროექტმა ხელი შეუწყო პარალმენტის წევრების ცნობიერების ამაღლებას მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ.

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისამდე.

ამ პროექტმა ხელი შეუწყო ადვოკატთა საქმიანობის გაუმჯობესებას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციონალური ფუნქციონირების გაძლიერებით.

- მარეგულირებელი და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით, გადაისინჯა შესწორებები ადვოკატთა საქმიანობის შესახებ კანონებში.
- მიღებულ იქნა ეთიკის კოდექსი შესწორებული რედაქციით, რომლის მიზანსაც ეთიკური სტანდარტების გაძლიერება და დისციპლინური პროცედურების რეგულირება წარმოადგენს. ეთიკის კომისიას, ახალი ეთიკის კოდექსის მიღების შედეგად, უკვე შეუძლია საქმიანობის უფრო გამჭვირვალედ განხორციელება. გაუმჯობესდა დისციპლინურ წარმოებაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები; საქართველოს ადვოკატების 63% დისციპლინურ წარმოებას აღიქვამს უფრო სამართლიანად და ეფექტურად (ადვოკატებს შორის კვლევა ჩატარდა 2016 წელს).
- შემუშავდა და დამტკიცდა ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია, რაც გაუმჯობესებული კომუნიკაციის გზამკვლევს წარმოადგენს.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შეიმუშავა ახალი ტრენინგის ციკლის სახელმძღვანელო და ტრენინგის სასწავლო გეგმები. საპილოტე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადვოკატობის კანდიდატების დაწყებითი ტრენინგის პროგრამა; პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ახალი კურსები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე და ტრენერთა დამხმარე სახელმძღვანელო, ასევე მომზადდა ათობით სპეციალიზებული ადგილობრივი ტრენერისგან შემდგარი კონტიგენტი, რომლის მიზანია კოლეგებისთვის მიღებული ცოდნის გადაცემა. დაინერგა ტრენინგამდე და ტრენინგისშემდგომი შეფასების ციკლი, რაც უკეთესი ხარისხის ტრენინგების ჩატარების საშუალებას იძლევა. დაინერგა ელექტრონული საგამოცდო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონულად ჩაბარებასა და შედეგების ავტომატურ შეფასებას.

- ადგილობრივმა ტრენერებმა უკვე ჩაუტარეს ტრენინგი 621 ადვოკატს, რომლებმაც არასრულწლოვანთა დაცვის უნარ-ჩვევები გაიუმჯობესეს. ასევე განახლდა ტრენინგები ეთიკური სტანდარტების შესახებ, რასაც თან ახლდა ეთიკის კომისიის რჩეული პრეცედენტული გადაწყვეტილებები. კვლევა აჩვენებს, რომ ადვოკატების დაახლოებით 70% სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს სასარგებლოდ და მათ საჭიროებების შესაბამისად მიიჩნევს.
- ადვოკატთა ასოციაციამ გააღრმავა პარტნიორობა რეგიონის ადვოკატთა ასოციაციებთან, რითაც შეიქმნა უფრო მდგრადი პლატფორმა საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების გასაზიარებლად.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით, გადაიხედა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების ეთიკის კოდექსი სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა ევროპული ეთიკის კოდექსის შესახებ ევროპის საბჭოს CM/Rec(2012)5 რეკომენდაციასთან შესაბამისობაში. კოდექსი ითვალისწინებს ეთიკურ პრინციპებს, რომლის მიზანია არასათანადო მოპყრობის აღკვეთა.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შემუშავებულ იქნა თვითმკვლელობის რისკების გამოვლენისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თვითმკვლელობის პრევენციის სხვადასხვა ინსტრუმენტი. აღნიშნულ ინსტრუმენტებს განეკუთვნება, მაგალითად, თვითმკვლელობის რისკის შეფასება, გამოკითხვების ოქმები და თვითმკვლელობის პრევენციის პროგრამები. განხორციელდა ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვა, რაც ქვეყანაში უკვე არსებული დადებითი ტენდენციის მხარდაჭერას წარმოადგენს.

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის ხელშეწყობა

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრამდე.

- გაწეულ იქნა მაღალკვალიფიციური იურიდიული დახმარება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის შესწორებების პროექტთან დაკავშირებით მისი დებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობას და სარედაქციო კოლეგიას ჩაუტარდათ ტრენინგი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ასევე

ორგანიზებულ იქნა ტრენინგები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებისთვის ევროპული სტანდარტების შესახებ, რომელიც შეეხებოდა "ბავშვებზე სატელევიზიო პროდუქტების მავნე ზემოქმედების" და "სატელევიზიო მომსახურებების" რეგულაციებს. შედეგად, აღნიშნული ორგანოები უკეთესად არიან ინფორმირებულები ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების შესახებ, როდესაც განიხილავენ არჩევნების გაშუქების, რეკლამის განთავსების, დებატების ორგანიზებისა და ა.შ. შესახებ საჩივრებს, ისინი ასევე ფლობენ ცოდნას საბავშვო პროგრამების რეგულირების შესახებ.

- 40-ზე მეტ ჟურნალისტსა და სტუდენტს ჩაუტარდა ტრენინგი მედიაში კულტურული და გენდერული სტერეოტიპების თავიდან აცილების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესახებ.
- მომზადდა კვლევა მხედველობისა და სმენის პრობლემების მქონე ადამიანებისათვის აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

თავისუფლების დაცვა კანონმდებლობისა და მრავალმხრივი დიალოგის მექანიზმების საფუძველზე

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრამდე.

- შეიქმნა ინტერნეტ რეგულირების ეროვნული ფორუმი, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ პლატფორმას, სადაც ბენეფიციარები განიხილავენ ინტერნეტ რეგულირების პოლიტიკის განვითარებასა და გამოწვევებს, ასევე გადაისინჯა ეროვნული კანონმდებლობა;
- მომზადდა ინტერნეტ პროვაიდერების ქცევის კოდექსი, რითაც შეიქმნა არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ეთიკური ქცევის საფუძველი.
- ყოველწლიური ინტერნეტ მმართველობის ფორუმი 2017-ის ორგანიზების ხელშეწყობა;
- ტენდერის ჩატარების ხელშეწყობა საქართველოში ინტერნეტ მმართველობის ევროპული დიალოგის (EuroDIG 2018) მორიგი ყოველწლიური შეხვედრის ჩატარების მიზნით;
- მცირე და საშუალო ინტერნეტ პროვაიდერების ასოციაციის წარმომადგენლების პირველი გაერთიანებული სხდომის ორგანიზების მხარდაჭერა;
- ონლაინ უფლებების დაცვის სტანდარტებისა და პრაქტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

ადამიანის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II

პროექტი ხორციელდებოდა 2016 წლის მარტიდან 2017 წლის დეკემბრამდე.

პროექტმა ხელი შეუწყო საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩოების სრულყოფის, სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდის და პატიმართათვის ჯეროვანი ჯანდაცვის უზრუნველყოფის მიზნით. პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი ინსტრუმენტები:

- დაინერგა ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგის ინსტრუმენტი და ოქმები, რაც უზრუნველყოფს პატიმრების მიღების უკეთესი ხარისხის პროცედურებს. ახალი ინსტრუმენტები შეესაბამება წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპის კომიტეტის (CPT) სტანდარტებს, რაც ითვალისწინებს ყველა პატიმრის დაუყოვნებლივ გასინჯვას დაწესებულების სამედიცინო სამსახურის თანამშრომლის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისთანავე. ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრებთან მოპყრობის დამხმარე ინსტრუმენტები მზადაა თბილისის გლდანის #8 საპყრობილეში პილოტირებისთვის, ვიდრე მათი გავრცელება მოხდება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში.
- გაუმჯობესდა დროებითი დაკავების იზოლატორში მყოფი დაკავებულების არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ხარისხი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა და მიიღო პატიმართა დაზიანებების დოკუმენტირების ახალი ნიმუში. ამჟამად, დროებითი დაკავების იზოლატორის ყველა ექიმს შეუძლია პრაქტიკაში გამოიყენოს ახალი ნიმუში, რომელიც სტამბოლის ოქმის მოთხოვნებს შეესაბამება.
- შემუშავებულ იქნა პოლიტიკის დოკუმენტი - ჯანდაცვის ხარისხის კონტროლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2016-2019, რომელიც წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების სახელმძღვანელოს ხელისუფლებისათვის. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ დაიწყო სამოქმედო გეგმის განხორციელება ვაქცინაციის პროგრამით, რომელიც ამჟამად ხორციელდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდა უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაში. საქართველოში 840-მდე თანამშრომელმა, მათ შორის ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან, გაიუმჯობესეს კომპეტენციები სხვადასხვა მიმართულებით, შედეგები უკვე თვალსაჩინოა სამედიცინო მომსახურებაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფსიქიკურად დაავადებული პატიმრების გაძლიერებულ მკურნალობას. შემუშავებულ იქნა ტრენინგის პროგრამები და ინსტრუქტორებს, რომლებსაც ტრენინგები ჩაუტარდათ, შესაძლებლობა აქვთ მიღებული ცოდნა თავიანთ კოლეგებს გადასცენ. [საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

არჩევნებში ჩართული მხარეების მხარდაჭერა საქართველოში

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრამდე.

- ვენეციის კომისიისა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, მიღებულ იქნა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები და აღმოიფხვრა ხარვეზები ამომრჩეველთა რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც არჩევნების ჩატარებისას თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპის პატივისცემის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.
- საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 90 მოსამართლეს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი საარჩევნო დავების გადაწყვეტისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკითხებზე. საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ დაადასტურა, რომ საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, კარგად იყო დასაბუთებული და მოტივირებული.
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გაეწია გრძელვადიანი იურიდიული დახმარება ადგილობრივი საარჩევნო კომისიებისთვის ნორმატიული საარჩევნო ინსტრუქციების შედგენაში. საერთაშორისო დამკვირვებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ცესკო მაღალი ნდობით სარგებლობდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე.

- საერთაშორისო და ევროპული ფულის გათეთრების / ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CFT) მიმართულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი იქნა სამართლებრივი დასკვნა კანონპროექტის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენციას.
- წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები და საერთო სახელმძღვანელო არასამთავრობო ორგანიზაციების, ძვირფასი მეტალებისა და ქვების დილერების, ფულადი გზავნილებისა და ლიზინგისა და აზარტული თამაშების სექტორების მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ;

- შესაძლებლობების გაძლიერებითა და აქტუალურ საკითხებზე სახელმძღვანელოსა და სასწავლო მოდულების უზრუნველყოფით გაუმჯობესდა მონიტორინგის, ზედამხედველობისა და მარეგულირებელი ორგანოების ცოდნა ფულის გათეთრების / ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CFT) შესაბამისობისა და ბენეფიციარული მფლობელობის გამჭვირვალობის შესახებ.
- გაძლიერდა ეფექტური სამართლებრივი დევნისა და გამოძიების შესაძლებლობები შემდეგი მიმართულებებით: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეები, დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების ამოღება, ფულადი სახსრებისა კონტრაბანდა და კორპორატიული ეკონომიკური დანაშაულები.
- უზრუნველყოფილია ფულის გათეთრების / ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML / CFT) მიმართული ეროვნული მექანიზმის შემუშავების რისკების შეფასების მუდმივი მხარდაჭერა;

[საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე]

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ (ECRML)

პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის 9 მარტიდან 2017 წლის 31 თებერვლამდე.

- უზრუნველყოფილ იქნა რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის მზადებისა და მისი შემდგომი განხორციელების მხარდაჭერა; რამაც ხელი შეუწყო რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის კონკრეტული დებულებების შესრულებას შემდეგი ღონისძიებების განხორციელების გზით:
- უმცირესობათა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ორენოვანი საინფორმაციო მასალების დამზადებით და მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა ენობრივ ჯგუფთან და მათ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვის გზით.
- სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული უმცირესობათა შესახებ დადებითი წარმოდგენის შექმნაში ხელშეწყობა. ცნობიერების ასამაღლებელი პუბლიკაციების გამოცემა, რომლებიც ფართოდ გავრცელდა საჯარო დაწესებულებებსა და საშუალო სკოლებში;
- განხორციელდა მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებები მშობელთათვის, რომ შვილები შეეყვანათ სკოლებში, სადაც სწავლება უმცირესობათა ენებზე მიმდინარეობს;
- გამოიცა საბავშვო ბაღის 52 სახელმძღვანელო უმცირესობების 13 ენაზე, სკოლებში ამ ენებზე განათლების მიღების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- უმცირესობათა ენებზე ითარგმნა ეროვნულ უმცირესობების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი შიდასახელმწიფოებრივი კანონები, სასამართლოებში უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

საინფორმაციო ბროშურა ამ პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს http://partnership-governance-eu.coe.int
საკონტაქტო პირი: ნიკოლა ჰოუსონი (Nichola Howson), სპეციალისტი კომუნიკაციის საკითხებში, +33 3 88 41 22 39
2018 წლის სექტემბერი